

ინტერკულტურულ განათლების სივრცე საქართველოს საშუალო
სკოლებში და აზერბაიჯანელი მოსწავლეების ინტეგრაციის საკითხები

მარიამ პეტრუზაშვილი

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე სოციალური სამუშაოს მაგისტრის
აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

სამაგისტრო ნაშრომით

სამეცნიერო ხელმძღვანელი: შორენა სამაგლიშვილი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2017

განაცხადი

როგორც წარდგენილი ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

მარიამ პეტრუზაშილი -----

აბსტრაქტი

ეთნიკურად აზერბაიჯანელი მოსახლეობის ინტერკულტურული განათლების შესწავლა და მათი ქართულ საზოგადოებასთან ინტეგრაციის ხელისშემშლელი ფაქტორების გამოვლენა, საქართველოს რეალობიდან გამომდინარე განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რადგან აზერბაიჯანელები საქართველოს მთელი მოსახლეობის 6.6%-ს შეადგენენ. ხოლო, ეთნიკურ უმცირესობებთან დაკავშირებით არსებული პრობლემებიდან, ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანია განათლება და მასთან დაკავშირებული საჭიროებები, რომელთა დაკმაყოფილებაზე უარყოფით გავლენას ახდენს სახელმწიფო ენის არცოდნა ან ცოდნის დაბალი დონე. აღნიშნული კვლევის მიზანია იმ ხელისშემშლელი ფაქტორების გამოვლენა რაც ხელს უშლის აზერბაიჯანელების ქართულ სივრცეში სრულ ინტეგრაციას. კვლევა ჩატარდა ლაგოდეხის რაიონის აზერბაიჯანულ თემში, კერძოდ სოფელ განჯალის საჯარო სკოლაში. კვლევის ფარგლებში გამოიკითხა 20 მოსწავლე თვისობრივი კვლევის მეთოდების გამოყენებით. კვლევის შედეგად მიღებული ინფორმაციის დამუშავება ცხადყოფს, რომ ინტერკულტურული განათლების კუთხით, სკოლაში მდგომარეობა არც ისე სავალალოა, განსაკუთრებით 14-15 წლის ასაკის ბავშვებში, მიუხედავად იმისა რომ გამოკითხულთა უმრავლობას არ აქვს ინფორმაცია იმ ქვეყნის კულტურისა და ტრადიციების შესახებ, რომლის მოქალაქეებიც არიან, ისინი კარგად აცნობიერებენ ქართველებთან ურთიერთობისა და თანაცხოვრების მნიშვნელობას. თუმცა, მათთვის უცნობია სიტყვა ინტეგრაციის მნიშვნელობა და დანიშნულება. ყველა არსებული პრობლემას კი მაინც, სახელმწიფო ენის არცოდნასთან მივყავართ, რომელიც წარმოადგენს ძირითად ხელისშემშლელ ფაქტორს აზერბაიჯანული მოსახლეობის ინტეგრაციისა და განათლების თვალსაზრისით. მართალია, კვლევის შედეგად მიღებული შედეგები ქვეყნის მასშტაბით განზოგადების საშუალებას არ იძლევა, რადგან მხოლოდ ერთ რაიონში ჩატარდა კვლევა, მაგრამ მნიშვნელოვან

მასალას წარმოადგენს ეთნიკურად აზერბაიჯანელი მოსახლეობის პრობლემებთან დაკავშირებით ღონისძიებების დასაგეგმად.

ძირითადი საძიებო სიტყვები: ინტერკულტურიზმი, მულტიკულტურიზმი, ეთნიკური უმცირესობები, აზერბაიჯანელები, სახელმწიფო ენა.

Abstract

Study of intercultural education of ethnic Azeri population and identifying the factors that hamper their integration into the Georgian society, depending on Georgia's reality, it is especially important, because Azerbaijanis represent 6.6% of the entire population of Georgia. And one of the most important issues in the problems related to ethnic minorities is education and the related needs which have a negative influence on the lack of knowledge of state language or low level of knowledge. The aim of the research is to reveal the hindering factors that prevent the integration of Azeri Georgian space.

The survey was conducted in the Azeri community of Lagodekhi district, namely in village Gazali public school. Within the survey, 20 pupils were interviewed using qualitative research methods. The processing of the information received as a result of the research, in the context of intercultural education, the situation in the school is not so bad, especially in children of 14-15 years, despite the fact that most of the respondents do not have information about the culture and traditions of the country whose citizens are, they are well aware of the importance of relations with Georgians and coexistence. However, they do not know the meaning and purpose of the word integration. At least all the existing problems lead to the lack of state language, which is the main obstacle to the integration and education of the Azerbaijani population. While the results obtained in the survey do not allow the generalization of the entire country, because only one survey was conducted, but important material is to plan events on the problems of ethnic Azeri population.

Key search keywords: interculturalism, multiculturalism, ethnic minorities, Azerbaijanis, state language.